ანოტაცია
თუთიის მალამო 10 % (*ZINC OINTMENT 10 %)*
ZINC OXIDE

მალამო გარეგანი გამოყენების, ვეტერინარიაში გამოსაყენებლად
სასოფლო-სამეურნეო და შინაური ცხოველებისთვის

შემადგენლობა
1 გ მალამო შეიცავს: აქტიური ნივთიერება - თუთიის ოქსიდი 100მგ

აღწერა:
თუთიის მალამო წარმოადგენს უსუნო, თეთრი ფერის სქელ ერთგვაროვან მასას.

ფარმაკოლოგიური თვისებები:
თუთიის ოქსიდს ახასიათებს შემკვრელი, ანტისეპტიკური, ანთებისსაწინააღმდეგო, დამცავი მოქმედება, მსუბუქად აქრობს ქავილს. მისი მოქმედების მექანიზმი დაკავშირებულია ალბუმინატების წარმოქმნასა და ცილების დენატურაციასთან. დაზიანებულ ზედაპირზე დატანისას მცირდება ექსუდაცია, ანთება და ქსოვილის გაღიზიანება, წარმოიქმნება გამაღიზიანებელი ფაქტორებისგან დამცავი ბარიერი, ხელს უწყობს რეგენერაციის პროცესს.

ჩვენებები:
ჭრილობა (ზედაპირული), დამწვრობა, კანის წყლულოვანი დაზიანება, ფურუნკულოზი, ძირმაგარა, პიოდერმია, დერმატიტი (ზედაპირული, ალერგიული), ნაწოლები.

გვერდითი მოქმედება
პრეპარატის გამოყენება ცხოველებში არ იწვევს გვერდით მოვლენებს და გართულებებს.

უკუჩვენებები
თუთიის ოქსიდზე ინდივიდუალური ჰიპერმგრძნობელობა

სამიზნე სახეობა: სასოფლო-სამეურნეო და შინაური ცხოველები

დოზა და გამოყენების მეთოდი:
გამოყენებამდე კანის ზედაპირი უნდა გაიწმინდოს დაბინძურებისაგან ან ექსუდატისგან. მალამო თხელ ფენად უნდა შეეზილოს კანის დაზიანებულ ადგილას, შესაძლებელია დაიდოს დოლბანდი, სახვევის სახით. გადახვევებს და შეზელვას აწარმოებენ დღეში 2-3 ჯერ, გამოჯანმრთელებამდე.

განსაკუთრებული მითითებები:

მალამო გამოიყენება მხოლოდ გარეგანად. არ დაუშვათ თვალში მოხვედრა. ცხოველები შესაძლოა შეეცადონ მალამოს ალოკვას — საჭიროებისამებრ უნდა დაიდოს დოლბანდი, სახვევის სახით ან აღიჭურვოს სპეციალური საყელოთი. თუ აღინიშნა ალერგიული რეაქცია (გაწითლება, ქავილი, შეშუპება), მალამო უნდა მოიხსნას და გაიაროთ კონსულტაცია ვეტერინართან.
ვეტერინარული კონტროლის გარეშე პრეპარატის ხანგრძლივად გამოყენება არ არის რეკომენდებული

მაკეობა, ლაქტაცია

თუთიის მალამო, ადგილობრივი გამოყენებისას, პრაქტიკულად არ აბსორბირდება სისტემურად, ამიტომ ტერატოგენული ან ემბრიოტოქსიური მოქმედება არ ახასიათებს და შეიძლება გამოიყენებოდეს მაკე ცხოველებში, მცირე დაზიანებებზე, მცირე ფართობზე, მხოლოდ ადგილობრივად და აუცილებელი მონიტორინგით. თუ მალამო დაიტანება ძუძუს თავის ირგვლივ (მაგ. დერმატიტის დროს), აუცილებლად უნდა მოიბანოს რძის მოწოდებამდე, ვინაიდან თუთიის ნარჩენები შეიძლება მოხვდეს ახალშობილის ორგანიზმში საკვების გზით.

ზედოზირება

ადგილობრივი გამოყენებისას ზედოზირების რისკი ძალიან დაბალია.
ხანგრძლივი და ზედმეტად სქელი ფენით წასმამ შეიძლება გამოიწვიოს: კანის გამოშრობა; ძლიერ შემკვრელი მოქმედება, რაც ზოგჯერ ხელს უშლის ნორმალურ გრანულაციას; გაღიზიანება (ურთიერთქმედება ექსუდატთან); მცირედ ადგილობრივი ჰიპერმგრძნობელობა.

ლოდინის პერიოდი: ნული დღე

გამოშვების ფორმა:
20 გ მალამო პოლიეთილენის ფლაკონში

შენახვის პირობები: სინათლისაგან დაცულ ადგილას, არაუმეტეს 10-20°C ტემპერატურაზე.

ვარგისობის ვადა: 2 წელი.
ფარმაკოლოგიური ჯგუფი: ანტისეპტიკური, ანთების საწინააღმდეგო საშუალება, ATCvet code: QD11AX90

მხოლოდ ვეტერინარული გამოყენებისთვის.
პრეპარატი შეინახეთ ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილზე.

მწარმოებელი: შპს ,,ბიოტეკსი", საქართველო, თბილისი, იუმაშევის ქ. #8